სიკეთე თავად სიცოცხლეა...

სიკეთე ადამიანის ცხოვრებაში უპირატესია...სამყაროს ჩუმი სიკეთე მართავს. ადამიანებს თავმდაბლობა, სიკეთე და სიყვარული გადაგვარჩენს. სიკეთე ჩემთვის არის, როდესაც ეხმარები ადამიანს ნაცნობს ან უცნობს და იმისგან სამაგიეროს არ ელოდები. საზოგადოებრივი მაუწყებელი და გადაცემა ,,ხარ თუ არა VI კლასელზე ჭკვიანი“ სტუმრებს საშუალებას აძლევს მისთვის სასურველ სკოლას დაეხმაროს. ეს არის გეიმ-შოუ, სადაც ყველაფერი სკოლასთან, სწავლასთან და სკოლის პერიოდთან ასოცირდება.

14 მარტს გადაცემაში, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობმა მომღერალმა და პროდიუსერმა დათო ხუჯაძემ ითამაშა, მამის მშობლიური სკოლის, ორპირის საჯარო სკოლის დასახმარებლად. სტუმარს შეკითხვების გამოცნობაში ეხმარებოდნენ მეექვსეკლასელები: ნიკოლოზი, ალექსანდრე, თაია და ნია. აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზი ტყიბულიდანაა და სწავლობს ქ.ტყიბულის №1 საჯარო სკოლაში. გადაცემის სტუმარმა და მეექვსეკლასელებმა ერთობლივი ძალით 2000 ლარი მოიგეს. დათო ხუჯაძემ მოგებული თანხით და ასევე საკუთარი ხარჯებით ორპირის სკოლისთვის შეიძინა ხმის გამაძლიერებელი დინამიკები, მიკროფონები, HP მოდელის ნოუთბუქი და გენერატორი.

26 აპრილი ერთ-ერთი სამახსოვრო, დაუვიწყარი, შთაბეჭდილებებით აღსავსე და სტუმართა სიუხვით გამორჩეული დღე იყო ორპირის საჯარო სკოლაში. სკოლას ეწვია საყვარელი მომღერალი დათო ხუჯაძე და გადაცემის ,,ხარ თუ არა VI კლასელზე ჭკვიანი“ შემოქმედებითი ჯგუფი. სტუმრებისთვის ღონისძიება სკოლის მოსწავლეებმა მოაწყვეს, რომლის სულისჩამდგმელი იყო ორპირის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი დარეჯან ბაკურაძე, მუსიკალურად გააფორმა ნათელა გორგიძემ, ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელმა ვალერი გიორგაძემ და ორპირის კულტურის სახლთან არსებულმა ტრიომ ,,აისი“. საყვარელ მომღერალსა და საპატიო სტუმარს საკუთარი ჩანახატით მიესალმა მეშვიდე კლასის მოსწავლე ანი ავალიანი.

დათო ხუჯაძის მიმართ მადლიერება გამოხატეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა თემურ ჩუბინიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ნატალია კობახიძემ და ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ქალბატონმა ირინე კორძაიამ.

ეს დღე ნამდვილ დღესასწაულად იქცა ორპირის საჯარო სკოლაში. მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო საზოგადოებრივ მაუწყებელს, განსაკუთრებით მომღერალ დათო ხუჯაძეს, ჩვენი სკოლის გახსენების, მოსწავლეების გახარებისა და იმ სამაგალითო საქციელეისთვის, რასაც კეთილი საქმის კეთება ჰქვია. მჯერა, რომ ეს განწყობა დიდხანს გაჰყვება თაობებს.

ირინა ბერეკაშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ორპირის

საჯარო სკოლის დირექტორი